ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 116

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022"-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 25 აგვისტოს №44-4422237103 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022"-სათვის (საიდენტიფიკაციო კოდის №412769071) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა №83-ის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.150; ფართობი - 500.00 კვ.მ.; სკვერი), 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წელი, №08/03) მიხედვით, რომელიც შეადგენს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს ქონების წლიური საიჯარო ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022" (საიდენტიფიკაციო კოდის №412769071) უფლება აქვს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.150;

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი
ასლი

ფართობი - 500.00 კვ.მ. სკვერი) ნაწილზე (არაუმეტეს 100.0 კვ.მ.) განათავსოს მსუბუქი კონსტრუქციის შენობა–ნაგებობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მუხლი 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412769071) ვალდებულია მოახდინოს ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა №83-ის სამხრეთით (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.150) მდებარე უძრავი ქონების (სკვერი) თავისუფალი ნაწილის განაშენიანება, კეთილმოწყობა (მწვანე ნარგავების განახლება, ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში და მოვლა-პატრონობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია